საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს

სხდომის ოქმი N2

ქ. თბილისი **20 ივნისი, 2018 წელი.**

სხდომას ესწრებოდნენ: ნადარაია ელიზბარ, შალიკაშვილი მორის, ჩიტაშვილი მარინე, ანანიაშვილი იური, ხუციშვილი ქეთევან, ლომინაძე გიორგი, პაპავა გივი, გოგიაშვილი ლიანა, ბერულავა გიორგი, ებრალიძე თამარ, ჯობავა თამარი.

დღის წესრიგი:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის არჩევა ფარული კენჭისყრით.
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის განყოფილების უფროსის ანა ჟორჟოლიანის ინფორმაცია პლაგიატის საწინააღმდეგო ორგანიზაციული უზრუნველყოფის დანერგვასა და „დოქტორანტურის მინიმალურ სტანდარტთან" დაკავშირებით;
3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულების განხილვა;
4. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს რეგლამენტის განხილვა;
5. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს აპარატის დებულების განხილვა;
6. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის „კომპიუტერული მეცნიერების" სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ **ნათელა ანანიაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის და თარიღის დამტკიცების შესახებ;
7. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის „ფიზიკის" სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ **თამარ ნოზაძის** სადისერტაციო ნაშრომის შემფასებლების დამტკიცების შესახებ.

დღის წესრიგი დამტკიცდა ერთხმად.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს მდივანმა მორის შალიკაშვილმა საბჭოს აცნობა, რომ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულების მიხედვით საბჭო ვალდებული იყო საბჭოს თავმჯდომარე აერჩიათ ფარული კენჭისყრით.

დაადგინეს: 1. ჩატარებული ფარული კენჭისყრის საფუძველზე 10 ხმით საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნას ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოც. პროფესორი, ქეთევან ხუციშვილი.
2. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს პირველ სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებები დარჩეს ძალაში.

მოისმინეს: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის განყოფილების უფროსის ანა ჟორჟოლიანის ინფორმაცია თსუ-ში პლაგიატის საწინააღმდეგო ორგანიზაციული უზრუნველყოფის დანერგვასა და „დოქტორანტურის მინიმალურ სტანდარტთან" დაკავშირებით;
აზრი გამოთქვა: ლიანა გოგიაშვილმა დასვა კითხვა, შეძლებდა თუ არა პლაგიატის შემოთავაზებული პროგრამა ნათარგმნი მასალის შემოწმებას და როდის დაინერგებოდა სისტემა?
მოისმინეს: ანა ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ პლაგიატის სისტემასთან დაკავშირებით ინფორმაცია ცნობილი გახდებოდა უახლოეს პერიოდში.
დაადგინეს: ეთხოვოს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ახალ სისტემასთან დაკავშირებით ინფორმაციის დაუყოვნებლივ მიწოდება.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს გააცნო საბჭოს წევრის მარინე ჩიტაშვილის წარმოდგენილი წინადადებები სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულებასთან დაკავშირებით.
აზრი გამოთქვა: მარინე ჩიტაშვილმა აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანი იქნება, თუ ამ საკითხებს ერთობლივად განიხილავდნენ ფაკულტეტების დეკანებთან და ინსტიტუტების დირექტორებთან, ვინაიდან ცვლილებების შეტანა მათი პრეროგატივაა.
აზრი გამოთქვა: თამარ ჯობავამ აღნიშნა, რომ ეთანხმება მარინე ჩიტაშვილის შემოთავაზებულ ცვლილებებსა და დამატებებს საბჭოს დებულებაში. მიიჩნევს, რომ ფაკულტეტის საბჭოს ჩანაცვლება უნდა მოხდეს სადისერტაციო მუდმივმოქმედი დარგობრივი კომისიით.
აზრი გამოთქვა: მორის შალიკაშვილმა აღნიშნა, რომ სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრი უნდა იყოს ასევე ასისტენტ პროფესორი, შესაბამისად, დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო თითოეული სადისერტაციო ნაშრომის დაცვის მიზნით შესაბამისი დარგის/სპეციალობის პროფესორების, ასოცირებული პროფესორებისა და ასისტენტ პროფესორებისაგან, ასევე უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის შესაბამისი დარგის/სპეციალობის უფროსი მეცნიერი თანამშრომლებისა და მთავარი მეცნიერი თანამშრომლებისაგან, ქმნის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიას."
დაადგინეს: დაევალოს საბჭოს მდივანს შემდგომი სხდომისათვის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების დოკუმენტის მომზადება.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს შესთავაზა წინადადებები სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს რეგლამენტთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვა: მარინე ჩიტაშვილმა აღნიშნა, რომ რეგლამენტი საჭიროებს სიღრმისეულ განხილვას და ეს უნდა მოხდეს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების განხორციელების შემდეგ. ამ ეტაპზე საბჭოს შეუძლია იხელმძღვანელოს არსებული დებულების მიხედვით.

აზრი გამოთქვა: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს შესთავაზა წინადადება, რომ სანამ საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულებაში ცვლილებები განხორციელდება საბჭოს საქმიანობის პრაქტიკის გათვალისწინებით, საბჭოს არ შეეფერხებინა სადისერტაციო ნაშრომების დაცვები. მით უფრო, რომ ბოლო თვეების განმავლობაში ფაკულტეტებზე დაგროვდა დოქტორანტებთან დაკავშირებული ბევრი საკითხი, რომელიც სასწრაფოდ საჭიროებდა მოგვარებას.

დაადგინეს: რეგლამენტის განხილვა მოხდეს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების განხორციელების შემდეგ; იქამდე საბჭომ იმუშაოს მოქმედი დებულების მიხედვით. ამ გარდამავალ ეტაპზე, მაქსიმალურად მოხდეს დოქტორანტებისთვის ხელის შეწყობა, რათა მოხდეს იმ შეფერხების აღმოფხვრა, რაც გამოწვეული იყო საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს შექმნით.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს შესთავაზა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დამხმარე სტრუქტურის - აპარატის დებულების განხილვა.

აზრი გამოთქვა: ლიანა გოგიაშვილმა აღნიშნა, რომ აპარატის დებულების პროექტის განხილვა მოხდეს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების განხორციელების შემდეგ; იქამდე აპარატის საქმიანობა შეითავსოს საბჭოს მდივანმა.

დაადგინეს: აპარატის დებულების პროექტის განხილვა მოხდეს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების განხორციელებისა და იურიდიული დეპარტამენტის რეკომენდაციების მოწოდების შემდეგ. აპარატის დებულების დამტკიცებამდე და აპარატის უფროსის დანიშვნამდე აპარატის საქმიანობა შეითავსოს საბჭოს მდივანმა.

მოისმინეს: ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წარუდგინა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის წარდგინება „კომპიუტერული მეცნიერების" სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ **ნათელა ანანიაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიისა და დაცვის თარიღის დამტკიცების შესახებ.

აზრი გამოთქვა: ღია კენჭისყრის საფუძველზე ქ. ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქ. ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის „კომპიუტერული მეცნიერების" სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ ნათელა ანანიაშვილს დაუმტკიცდეს დაცვის კომისია შემოთავაზებული წევრების შემადგენლობით და დაცვის თარიღად განესაზღვროს 2018 წლის 28 ივნისი;

მოისმინეს: ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წარუდგინა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის წარდგინება „ფიზიკის" სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ **თამარ ნოზაძის** სადისერტაციო ნაშრომის შემფასებლების დამტკიცების შესახებ.

აზრი გამოთქვა: ღია კენჭისყრის საფუძველზე ქ. ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქ. ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დადგინეს: დაუმტკიცდეს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის „ფიზიკის" სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ თამარ ნოზაძეს სადისერტაციო ნაშრომის შემფასებლებად საბჭოსათვის შემოთავაზებული კანდიდატები.

საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე,
ქეთევან ხუციშვილი

საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს მდივანი,
მორის შალიკაშვილი